

ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგებლის სათათბირო ორგანოს „სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო“-ს დებულება

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 86¹ მუხლის შესაბამისად, აღნიშნული დებულება განსაზღვრავს ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგებლის სათათბირო ორგანოს – „სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო“-ს უფლებამოსილებას, მიზნებსა და საქმიანობის წესს.

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. „სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო“ (შემდგომში საბჭო) - იქმნება მუნიციპალიტეტის გამგებლის უფლებამოსილების ვადით, რომელიც წარმოადგენს ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგებლის სათათბირო ორგანოს, რომელიც იქმნება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის გამჭვირვალობისა და თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით.

2. საბჭოს საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები: საქართველოს კონსტიტუცია, „ევროპული ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, წინამდებარე დებულება.

3. თავისი სტატუსით საბჭო წარმოადგენს სათათბირო ორგანოს, რომლის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები, წინადადებები და მოსაზრებები გათვალისწინებულ იქნება ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიერ უფლებამოსილების განხორციელებისას.

მუხლი 2. საბჭოს მიზნები

1. საბჭოს ძირითადი მიზნებია:

ა) საზოგადოებრივი აზრის მაქსიმალური გათვალისწინება და შესაბამისი რეკომენდაციებისა თუ წინადადებების მომზადება და მიწოდება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში მათი შემდგომი გათვალისწინების მიზნით;

ბ) რეკომენდაციებისა და წინადადებების შემუშავება საბჭოს წევრების ჩართულობის კუთხით და მათი ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის წარდგენა.

მუხლი 3. საბჭოს უფლება-მოვალეობანი

1. მუნიციპალიტეტის გამგებელი ვალდებულია:

ა) სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს განსახილველად წარუდგინოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტი, მუნიციპალიტეტის სივრცითი დაგეგმარების დოკუმენტები, მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ წინადადებები, ინფრასტრუქტურული და

სოციალური პროექტები და აგრეთვე სხვა მნიშვნელოვანი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტები.

მუხლი 4. საბჭოს სტრუქტურა

1. საბჭო შედგება სათათბირო ხმის უფლების მქონე არანაკლებ 10 წევრისგან.
2. საბჭოს შემადგენლობაში შედიან მეწარმე იურიდიული პირების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წარმომადგენლები.
3. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოში არ უნდა იყოს ერთი სქესი სწარმომადგენელთა რაოდენობა $1/3$ -ზე ნაკლები. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო უფლებამოსლებას კარგავს თუ დარღვეული ზემოაღნიშნული პრინციპი.
4. საბჭოს ტექნიკურ საქმიანობას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული სამსახური;
5. საბჭო უფლებამოსილია თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
6. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობას ამტკიცებს მუნიციპალიტეტის გამგებელი.

მუხლი 6. საბჭოს მუშაობის წესი

1. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო იკრიბება არანაკლებ 3 თვეში ერთხელ. საბჭოს გადაწყვეტილება ფორმდება სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმით.
2. საბჭო წარმოდგენილი წინადადებების საფუძველზე ამტკიცებს სხდომის დღის წესრიგს.
3. საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს სრული შემადგენლობის $1/2 + 1$ ხმით. თითოეული წევრი სარგებლობს ერთი ხმის უფლებით. ხმის გადაცემა დაუშვებელია.
4. საბჭოს თითოეულ წევრს უფლება აქვს საბჭოს სხდომაზე განსახილველი საკითხების გარშემო წარმოადგინოს საკუთარი წინადადებები და მოსაზრებები.

მუხლი 7. საბჭოს უფლებამოსილების შეწყვეტა

1. საბჭოს უფლებამოსილება უწყდება კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

მუხლი 8. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

1. საბჭოს დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ კანონით განსაზღვრული წესით.